საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრი ბატონი კენტარო სონოურა საქართველოს ეწვია

იაპონური დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრი ბატონი კენტარო სონოურა საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. 2 მაისს იაპონურმა დელეგაციამ გამართა შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ბატონ დავით ჯალაღანიასთან, რომლის დროსაც მათ ქვეყნებს შორის მიმდინარე ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ვიზიტის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ნოტების გაცვლის ცერემონია, რომელიც მიზნად ისახავს დიპლომატიური პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეთათვის იაპონიასთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებას.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ვიზიტი კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთობებს საქართველოსა და იაპონიას შორის.

ნოტების გაცვლის ცერემონია

შეხედულებების გაზიარება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბატონ ჯალაღანიასთან